**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | „ | 9 „ | 50 „ |
| 10 | „ | 8 „ | 75 „ |
| 9 | „ | 8 „ | — „ |
| 8 | „ | 7 „ | 25 „ |
| 7 | „ | 6 „ | 50 „ |
| 6 | „ | 6 „ | — „ |
| 5 | „ | 5 „ | 50 „ |
| 4 | „ | 4 „ | 75 „ |
| 3 | „ | 3 „ | 50 „ |
| 2 | „ | 2 „ | 75 „ |
| 1 | „ | 1 „ | 50 „ |

# ივერია

№ 196 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 196

**წლ ურის ფასის ნაწილ. ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღეს, 25 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში გარდაცვალებიდან იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

**ნინო იოსების ასულის ლაზარევის**

(მამით კნიაჟნა რატიშვილი)

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქმარი და შვილები. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ. (1—1).

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკტემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკტემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საჩხერეში:**—პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**ზესტაფონში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
**ბორჯომში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. | 15 კაპ. |
| რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 „ |
| საშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—18). (იხ. განცხ. მე-4 გვ.). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბრის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კაკაბეთში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალსდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотноси.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყასლამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინოს თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა», ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა

**მ. მ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. გ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არშანიტაძი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი კ. **ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. პოპოვი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## უმაღლესი მანიფესტი

(შემდეგი *)

12) ამა მე-XIX მუხლის პირველ, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე პუნქტებში ჩამოთვლილი წყალობანი არ ეხებათ, იმათ, ვისაც ჩაუდენიათ ქურდობა, «მაშენიკობა», მითვისება და გაფლანგვა ჩაბარებულ ქონებისა, მევახშეობა, მექრთამეობა; ვინც გაუფთხილებლობით ვაჭრობის დროს გაკოტრებულა; ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია პატიოსნების წინააღმდეგ და კერძო ბრალდებით სამართალში მიცემულა; ვისაც საპყრობილეში ჩასმა აქვს გადაწყვეტილი სამსახურიდან გამორიცხვისა, ან ისეთ სასჯელის მაგიერ, რომელსაც ახლავს უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა; აგრეთვე იმას, ვისაც ჩაუდენია ისეთი დანაშაულობანი (ტყის დაცვის წესების დარღვევის გარდა), რომელთა გამოც დამნაშავეს ჯარიმა უნდა გადახდეს არა ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო კარის უწყებისა და ჩვენის კაბინეთის სასარგებლოდ და არც შემდეგ თანხების სასარგებლოდ: ა) რომელიც სდგება საპყრობილეების გასამართავად და ბ) რომელიც სდგება სამთო წესდების მე-736 მუხლის თანახმად (კანონთა კრებული ტომი მე-VII, 1902 წლის გაგრძ.); ხოლო იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ამა მე-12 პუნქტში აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია, აგრეთვე იმას, ვისაც სასჯელი მისაჯა და იხდის კიდეც ამ სასჯელს,—სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირდეს. 13) ერთის მესამედით შეუმცირდეს სასჯელი იმ დამნაშავეთ, რომელთაც სასამართლო გადაუწყვეტს პატიმართა განყოფილებაში, ციხეში ან საპატიმროში დამწყვდევას, განსაკუთრებულ ან ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით; აგრეთვე ვისაც გადაუწყვეტს გამასწორებელ სახლში დამწყვდევას უფლებათა ჩამორთმევით და ჩამოურთმეველად, ან საპატიმროში დამწყვდევას უფლების ჩამორთმევით, 1903 წლის, 22 მარტის უმაღლესად დამტკიცებულის სისხლის სამართლის დებულების ძალით; აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც მემკვიდრის დაბადების დღემდე მისაჯა ამ პუნქტში ჩამოთვლილი სასჯელები, ან ვინც უკვე იხდის სასჯელს. 14) ამ მანიფესტის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება არ ანთავისუფლებს დამნაშავეს ამავე დროს მოვალეობისაგან ზღოს დანაშაულობით გამოწვეული ნივთიერი ზარალი, არ ანთავისუფლებს პატენტის ღირებულობის, სავაჭრო, ან სამრეწველო მოწმობის, სააქციზო, ან სხვაგვარ ხარჯის გადახდისაგან, თუ ამ გვარი გადასახადები პატიებულ არ არის ამავე მანიფესტის ზემოხსენებულ პუნქტების ძალით; არ ანთავისუფლებს აგრეთვე, კანონის მოთხოვნილებისამებრ, ნივთების ჩამორთმევისაგან, ან მათის ფასის ზღვევისაგან. საქმეები სატყეო წესდების დარღვევის შესახებ, სახაზინო და კერძო პართა ტყეებშიაც, აგრეთვე სახაზინო და კერძო პირთა სადავო ტყეებშიაც, წესისამებრ იქმნან გათავებულნი, რათა შეიძლებოდეს იმ საზღვრის რაოდენობის გამორკვევა, რომელიც კერძო პირთ ან წოდებათ ეკუთვნის. 15) იმ პირთ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე განთავისუფლებულ იქმნენ საპატიმროდან და პოლიციის განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ იქნენ მიცემულნი, შეუმცირდეს ერთის მესამედით ზედამხედველობის ვადა, აღნიშნული სასჯელთა დებულების (კანონ. კრებ. ტ. XV 1885 წ. გამოც.) 48 და 45 პუნქტებში, ან სა

*) იხ. ივერ. № 195.

სჯელთა დებულობის 58 მუხლში (კანონ. კრებ. ტ. XV, 1902 წ.). 16, ციმბირში ან ციმბირის გარდა სხვა შორეულ გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილ პირთ მიენიჭოს (შორეულ გუბერნიებში გაგზავნილებს—7 წლის შემდეგ, ბოლო ციმბირში გაგზავნილებს—8 წლის შემდეგ მათის იქ ყოფნისა) უფლება თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ევროპისა და აზიის რუსეთში, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო ქალაქების გუბერნიებისა, სადაც მათთვის აღკრძალულია ცხოვრება 3 წლის განმავლობაში. აქ მოხსენებულ პირთ ჩამორთმეული უფლებანი არ უბრუნდებათ. ვისაც ციმბირში, ან შორელ გუბერნიებში, გაგზავნის გარდა, მიესაჯათ აგრეთვე დაპატიმრება, ან ამის მაგიერ დანიშნულ ადგილას განუშორებლად ცხოვრება, შეუმცირდეთ ერთის მესამედით ვადა დაპატიმრებისა ან განუშორებელ ცხოვრებისა. 17) იმ დამნაშავეთ, რომელთაც დანაშაულობა ჩაიდინეს მემკვიდრის დაბადების დღემდე და ამისათვის გადასახლება უნდა მიესაჯოთ და აგრეთვე ვისაც უკვე მიესაჯა ან უკვე იხდის ამ სასჯელს, შეუმცირდეთ ის ვადა, რომელიც გლეხობაში ჩარიცხვისათვისაა დანიშნული: თუ ვადა 10 წლისაა, შემცირდეს 4 წლამდე, თუ 15 წლისაა—6 წლამდე; თუ გადასახლებულმა 9 წელიწადი ლაჰყო ამ მდგომარეობაში, მიეცეს მას ნება აირჩიოს საცხოვრებლად ადგილი, მხოლოდ 5 წლის ვადით აეკრძალოს სატახტო ქალაქებსა და სატახტო ქალაქების გუბერნიებში ცხოვრება და ამასთანავე არჩეულ ადგილას 5 წლის ვადით ადგილობრივ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდეს. ასეთივე შეღავათი მიენიჭოს იმათ, ვინც დღემდე კატორგაში ყოფნის ვადა დაასრულა და ჩარიცხულია გადასახლებულთა სიაში. ეს შეღავათები არ ეხება იმ პირთ, ვინც ჩაიდინა სასჯელთა დებულების 197 და 200—204 მუხლებში აღნიშნული დანაშაულობანი (კანონ. კრებ., ტომი მე-XV. 1885 წლ. გამოც.) 18) იმ დამნაშავეთ, რომელთაც სასამართლომ მიუსაჯა ქარხნებში და კატორგაში მუშაობა განსაზღვრულის ვადით, ეს ვადა ნახევრად შეუმცირდეს, ხოლო ვისაც სამუდამო კატორგა მიესაჯა, ეს სასჯელი შეეცვალოს 14 წლის კატორგით. ეს წყალობა იმ პირთაც შეეხება, რომელთაც სასამართლო ხსენებულს სასჯელს დაუნიშნავს მემკვიდრის დაბადების დღემდე ჩადენილ დანაშაულობისათვის 19) ამ მანიფესტის მე-XIV მუხლის მე-16, 17 და 18 პუნკტებში აღნიშნულია წყალობა შეეხება იმ პირთაც, რომელთაც, თანახმად უმაღლესის განსაკუთრებულის ბრძანებებისა, მიესაჯათ ამ პუნკტებში აღნიშნული სასჯელები, სხვა უფრო მკაცრ სასჯელების მაგიერ. 20) კატორგისაგან განთავისუფლებულ იქმნას ის არა სრულ წლოვანი დამნაშავენი, რომელთაც მემკვიდრის დაბადებამდე ჩაიდინეს დანაშაულობა, რისთვისაც უკვე გაასამართლეს ან ეხლა გაასამართლებენ, კატორგისაგან განთავისუფლების შემდეგ ეს დამნაშავენი უნდა ჩაირიცხონ გადასახლებულთა რიცხვში და იმათ უნდა მიენიჭოს მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-17 პუნკტში აღნიშნული წყალობა. ამ მეოცე პუნკტში მოხსენებული წყალობა შეეხება ამ არა სრულ-წლოვან დამნაშავეთ, რომელთაც მიესაჯათ 4 წელზე ნაკლები კატორგა. 21) განთავისუფლებულ იქმნას როზგით დასჯისაგან ის ციმბირში გადასახლებულნი და კატორგაში გაგზავნილნი, რომელნიც გადასახლებულთა შესახებ დებულების ძალით მემკვიდრის დაბადების დღემდე ჩადენილ დანაშაულობისათვის როზგით უნდა ყოფილიყვნენ დასჯილნი (თანახმად გადასახ. შესახ. წესდ. მუხლი 564). 22) ციმბირში გადასახლებულნი და კატორგაში გაგზავნილნი, რომელნიც მათთვის დანიშნულ ადგილიდან გაიქცნენ, ისე კი, რომ გაქცევის დროს და გაქცევის შემდეგ ახალი დანაშაულობა არ ჩაუდენიათ, თუ მემკვიდრის დაბადების დღიდან 1 წლის განმავლობაში თავის ნებით მთავრობას გამოეცხადებიან, გაქცევისათვის დასჯილნი ნუღა იქნებიან. 23) იმ პირთ, რომელთაც უკვე წინანდელის უმაღლესის მანიფესტებით მიენიჭათ ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე16, 17 და 18 პანქტებში აღნიშნული შეღავათი, ახლად შეუმცირდეს 1-ის წლით გადასახლებისა და კატორგის ვადა. 24) ამ მანიფესტით ნაბოძებ წყალობებით არ არიან შეზღუდულნი ციმბირში გადასახლებულთა, საცხოვრებლად გაგზავნილთა, კატორგაში გაგზავნილთა და დაპატიმრებულთა უფლებანა, რომელნიც მიენიჭათ 1894 წ. 7 მაისის და 1895 წ. 9 მაისის უმაღლესად დამტკიცებულის წესებით. ამ წესებით ხსენებულ პირთ მიენიჭათ სხვა-და-სხვა შეღავათი ციმბირის რკინის გზის აშენებაში მონაწილეობისათვის. ხსენებულის წყალობით აგრეთვე არ არის შეზღუდული კუნძულ სახალინზე გაგზავნილთა შეღავათები, რომელიც ამათ მიენიჭათ 1904 წ. 4 მარტის კანონით ადგილობრივ თავისუფალ დრუჟინაში ჩარიცხვისათვის 25) ყველა იმ დანაშაულობათა და ბოროტ-მოქმედებათა გამო, რომელთა შესახებ სისხლის სამართლის საქმეები ამ მანიფესტის ძალით არ ისპობა, და რომელიც ჩაუდენიათ მემკვიდრის დაბადების დღემდე, საქმის მოსპობის ვადა 1 მესამედით შემცირდეს, თუ ეს ვადა წინანდელ უმაღლესის მანიფესტით არ იქმნა შემცირებული; 26) მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17, 18, 19, 20 და 23 პუნქტებში აღნიშნულ შეღავათების განხორციელება მიენდოს ჩვენს ნამესტნიკს შორეულ აღმოსავლეთში, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორებს და ადგილობრივ გუბერნატორს, რომელნიც წინ-და-წინ უნდა დარწმუნდნენ, რომ დამნაშავენი კარგის ყოფა-ქცევისა არიან.

(დასასრული იქნება)

---

ტფილისი, 25 აგვისტო.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია საზარელი ამბავი, რომელიც სოფ. იტრიაში მომხდარა. დღესასწაულ დღეს უწმინდურობის ორმოში ჩავარდა და დაიხრჩო წლისა და სამის თვის ვაჟი. ეს სამწუხარო შემთხვევა ყურადღების ღირსია... საბრალო ბავშვი დაიხრჩო სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ოჯახში დიდი წვეულება იყო, როდესაც სახლში ჩვენებური, ძველებური, მამა-პაპური «სმა-ჭამა იყო, პურობა, ნადიმად მსხდომთა სტუმართა მუნ დიდი შემოყრილობა». ქართველი კაცი თუ ქეიფში ჩავარდა, ხომ დასასრული აღარ იცის. ამ დროს ყველაფერი: ცოლი, შვილი, თავის თავი, თვისი ზნეობრივი მოვალეობა, თვისი დანიშნულება... ოღონდ ნუნუა ბლომად გადაჰგზავნოს თავის მუცელში და მეტი არა უნდა-რა... საცოდავ ბალღისთვის ვიღას სცალია იმ დროს?

საზოგადოდ ჩვენში ახალთაობისთვის ძლიერ ნაკლებად ჰზრუნავენ. ბავშვების სიცოცხლე უზრუნველყოფილი არაა: მუსრს ავლებს ათასნაირი ავადმყოფობა, ათასნაირი შემთხვევა, გამოწვეული მშობელთა უმეცრებისა და უზრუნველობით. თითქოს ბავშვი არ იყოს ზრუნვის და ყურადღების ღირსი, თითქოს არ იყოს საზოგადოების წევრი, იმ მომავლის მოქალაქე, რომელსაც მყობადში, ვინ იცის, რა სასარგებლო შეიქმნას სამშობლოსა და ერისათვის...

კარგი ამბავი კი იქმნება, თუ ჩვენის უმეცრებისა და დაუდევრობის გამო, ბავშვები ასე ვხოცეთ,—ის ბავშვები,—რომელთაც, მაცხოვრის სიტყვის თანახმად, ეკუთვნის სასუფეველი ცისა!! ის მშობელნი, რომელნიც გაფაციცებით თვალყურს არ ადევნებენ თავიანთის შვილების აღზრდას, სასტიკად პასუხის მგებელნი არიან ღვთისა, საკუთარის სინიდისისა და საზოგადოების წინაშე... რამდენი ბავშვია მიგდებული უპატრონოდ, უყურადღებოდ, სხვა და სხვა საეჭვო შემთხვევათა მსხვერპლად...

საცოდავი ქართველი ბავშვი ან კი როგორ იზრდება, ან კი როგორ სცოცხლობს?! არავითარი ცოდნა პედაგოგიურის ხასიათისა ჩვენში არაა გავრცელებული... უბრალო საანბანო ცნებანიც კი აღზრდის შესახებ არ იცის ქართველ მშობელთა უფროს ერთმა... და ეს უმეცრება ცხადად სჩანს თვით მშობლიურის და რუსულის ენის შესწავლის საქმეშიაც...

სხეულის აღზრდაც ხომ სულ ღვთის ანაბარადაა მიტოვებული... ნუ თუ ეს გარემოება სამწუხარო არ არის?! ჩვენი ბავშვები, ეს საყვარელნი პატარა არსებანი, ეს ჩვენის სიცოცხლის თაიგულნი, ჩვენის მერმისის «ყვავილნი» დიდის და დიდის ყურადღების ღირსნი არიან...

დაე, საცოდავის ბალღის უსუფთაობის ადგილს ჩახრჩობამ გამოაფხიზლოს ჩვენი მშობლები და ღრმად დააფიქროს ბავშვთა ბედ-იღბალზედ... ამით მაინც გაიხარებს უმანკო სული წუთისოფელს უდროვოდ გამოსალმებულის პაწაწინა ქართველისა.

---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

რუსის ჯარის რაოდენობა მანჯურიაში.—დაშიცაო-ხაიჩენიდგან რუსის ჯარის ლაწევის მიზეზი. — წყალის გადაპრა პორტ-არტურთან.— შეშლილები.

ბერლინის სამხედრო ჟურნალს ოფიციალურ წყაროებიდგან გამოუკრებია ცნობები რუსის ჯარის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში.

რუსებსა ჰყავთ 317 ბატალიონი და 207 ესკადრონი კავალერიისა, სულ 348,050 კაცი, 1046 ზარბაზნით. ამ ჯარს შეადგენს 1) მანჯურიის ლაშქარი, რომელშიაც 1, 2, 4, 5 და 6 ციმბირის კორპუსია და 1, 11 და 17 შიდა-რუსეთის კორპუსი. ამას გარდა ლაშქარში განკერძოებული 132 ესკადრონია და არტილერია 100 ზარბაზნით, რომელიც კორპუსებში არ ირიცხება; 2) უსურიის ჯარის კორპუსი, 16 ათას კაცით, მხედრობითა და 62 ზარბაზნით; 3) პორტ-არტურის მეციხოვნეთა ჯარი, რომელშიაც 27 ათასი კაცია 56 ზარბაზნით.

აქედგან ამ ჟამად ომის ველზე არის 248,050 კაცი 674 ზარბაზნით, რომელთაგან 205,550 კაცი 556 ზარბაზნით, მანჯურიის ლაშქარს შეადგენს. მე-5 და მე-7 ციმბირის კორპუსები და 1 პეტერბურგის ოლქის კორპუსი, სულ 96,000 კაცი 288 ზარბაზნით გზაშია და მანჯურიაში მიდიან სეკდემბერ-ნოემბერში. გარდა მოკლულ-დაჭრილებისა და ავადმყოფებისა ომის ველზედ ეხლა უნდა იყოს 248,000 მეომარი (რუს.).

—

რუსკი ინვალიდის კორესპონდენტი იწერება მიზეზს, რუსის ჯარმა რად მიატოვა დაშიცაო და ხაიჩენი:

სარდლის მრავალგვარ მოსაზრების გარდა, ამისთანა გასაჭირ დროს ერთი გარემოებაც საგულისხმოა: მთელი თვე საშინელი სიცხე-პაპანაქებაა, რომელმაც ჯარის კაცები სულ მოქანცა, ამისთანა გარემოებაში დიდი ბრძოლა, რომელმაც ომის ბედ-იღბალი უნდა გადასწყვიტოს, ძნელი გასაბედია, თუმცა ჯარი უკვე შეგროვილია და მხოლოდ ბრძოლის ადგილი უნდა ამოირჩიონ. ღრმად ჩაუფიქრდა სარდალი ამ მძიმე საქმეს და ბოლოს ამ აზრს დაადგა: მეშვიდე ციმბირის პოლკის კომანდერი თ-დი ტრუბეცკოი იუწყებოდა, რომ იაპონელების სამი დივიზია ზასულიჩის კორპუსის მარცხენა ფრთას გასცილებია და, მაშასადამე, ამ კორპუსისა და წინად აღმოსავლეთისა და ეხლა გენერალ ივანოვის კორპუსებს შუა შეჭრილა; ამას გარდა ხაიჩენთან რომ გავიმარჯვოთ კიდეცა, მტერს უკან ვერ დავედევნებით, ვიდრე იაპონელების დივიზიებს ეს ადგილი უჭირავთ და ლიაოიანს ემუქრებიან. ამიტომ უმჯობესი იქმნება ლიაოიანთან დავიწიოთ და მტერს იქ შევებრძოლოთ. ჩვენს ჯარს დიდი გ ჭირვება დაადგა უკან დაწევის დროს, როდესაც 60 ვერსი გასავლელი ჰქონდა ამ სიცხე-პაპანაქებაში და საავადმყოფოები თუ სხვა დიდძალი ბარგიც უნდა გადაეზიდნა: ამავე დროს მტერი უკანიდგან და გვერდიდგან აწუხებდა და აწუხებდა.

რუსის ჯარმაც მართლა უკან დაიწია და უბრძოლველად დაუთმო მტერს ხაიჩენის საუკეთესო და ტიკინივით მორთული სიმაგრეები და სადგომები.

ანჯუან-შანს რომ უთმობდა სარდალი მტერს, დარწმუნებული იყო, რომ ამით მთელს ლაშქარს იხსნიდა. იმან იცოდა, რომ შედარებით იმ საქმესთან, რომელსაც იგი ადგია, ეს მსხვერპლი მეტად მცირეა. ეს არის გაგრძელება იმ ფართო გეგმისა, რომელიც თხოულობს, რომ ლაშქარმა ლიაოიანში უნდა მოიყაროს თავი.

20 ივლისს, ნაშუადღევს 5 საათზე

---

# ფელეტონი

## «...თვით ღვთაებასაც კი...».

(ვუძღვნი ქალ... ქ... დ... ას-ეს).

### I

ღარიბი, უსახლ-კარო, ობოლ-ოხერი, მაგრამ გულ-ამაყი, სულით მტკიცე, მხნე და შეუპოვარი იყო.

ობლობა, მარტოდ ყოფნა მოსწყინდა და ეძებდა მეგობარს... ვერ ჰპოვა... რა ვქნა,—სთქვა... გადასწყვიტა, მოეპოვა ამხანაგი, მეუღლე, ტოლი, თანამოაზრე, რომ ამით ავსებოდა საწყაული აღუვსებელი». იყო ვაჟკაცი, ზრდილობიანი, მართალი, კარგი მუშაკი, სიტყვა სწორი, მჭევრ-მეტყველი და თავისებური მორწმუნე. სახელი მისი იყო ფრიდონ.

ოცდა ხუთის წლისა იყო, რომ შეუყვარდა ოცის წლის მშვენიერი ფატმანი. «მიყვარხარ... გიყვარდე!»... უთხრა მან ფატმანს, სხვას კი, ჩემგნით ნურას თხოულობ... მე ვარ შვილი საუცხოვო ბუნების... ჩემი სამშობლოა ის მშვენიერი მთები—ის მაღალი და ამაყი მთები—ის საუცხოვო, საკვირველ მომწვანებულ-მოყვავილებულ-მობიბინე გორაკები, საცა არჩვ-ჯიხვნი, ირემნი, ლომნი და ვეფხვნი ბუდობენ, იქ, ჩემო სულიკო, იქ—იქ გავიზარდე... იქ, საცა მონობა არ ვინ იცის, საცა მეფობს მხოლოდ ბუნება... საცა წმინდა წყალთ-ნაკადულნი უსასყიდლოდ უკლავს წყურვილს მაშვრალთა და უმსუბუქებს ფაქიზი ჰავა სუნთქვა-ყნოსვას «ტვირთმძიმეთა». იქ, საცა არვინ თხოულობს არავითარს ხარჯს, მხოლოდ ბუნება ასაზრდოებს ყოველ სულდგმულს... იქ, საცა არავინ იცის დამცირება, შეურაცხყოფა, საცა საჭირო არ არის მონობა და ქედის მოხრა... თანახმა ხარ? თუ თანახმა ხარ, მოდი ჩემთან... თვალ-ჟუჟუნავ, ჩემო სულის კვეთებავ, ჩემო ნაზო, ოქროს თმიანო... მომეც ხელი ბროლისა და გულ-მკერდი მორცხვი წყრომისა, დამაკონე მაგ შენს ვარდის მსგავს ტუჩებზედ... მამთხვევინე სათაყვანო კოკრებზედ... ნეტავი მე... რა ჯიქი მყავს ასეთი, ზეცის მეფე და ქვეყნისა სპასპეტი... იყავ ჩემი სიცოცხლის მალამო... არ მიმტყუნო, ქვეყანას არ მაწამო... „წუთიაო,—ბრძენი იტყვის—ქვეყანა, მაგრამ ცუდად... თუ კი შენ ხარ ჩემთანა? მიყვარხარ, გიყვარდე! სხვას კი ნურას თხოულობ. მე არ ძალმიძს, სხვებივით, კისერი მოვიხარო... შენ ბატონი, მე ყმა,- -გითხრა და ამით ჩვენი «მე» დავამციროთ. არც მე მივყვე მონობა-მორჩილებას, არამედ გთხოვ სწორსა ამხანაგობას... რისთვისა ხარ ასე გაჩუმებული? ნუ თუ ენას არ ეთახმება გული? არ მითხრა «არა», რადგან ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენთან მრწამს... სხვასთან კი არა და არა!

ასე აღტაცებული, ფრთა შესხმული ტრფიალი იყო ფრიდონი ფატმანისა, მაგრამ ფატმანი?—ეს ნახატი ეთერისა, სირინოზი, ვენერა—ღმერთა მშვენებისა, სულ სხვა ჰანგზე აწყობდა თავის სიმებს. არ სწამდა სიტყვა «ამაყი»—«სიამაყე ხომ წინააღმდეგი სიმია ქალთა წინაშე... მე უნდა მიყვარდეს ვაჟ-კაცის სიამაყე მხოლოდ სხვასთან... ჩემთან კი სულ სხვაა... ჩემი მონა-მორჩილი უნდა იყოს იგი, ვინც სხვისი ბატონი, ზარდამცემიაო,» ფიქრობდა ფატმანი,—ის კი ასე მეურჩებაო; მიყვარხარ... გიყვარდეო... სხვას კი ჩემგნით ნურას თხოულობო... ეს რასა ჰგავს, თუ არ ჩემს დამცირებას და ჩემი კერპ-ს «მე»-ს გაწბილებას... არ სწამდა მარტო სიტყვა «მიყვარხარ!» უნდოდა მონად-მორჩილად ყოფნა და იმავე დროს ბატონად-მბრძანებელად. ეს იყო მისი გულის წადილი, სულის კვეთება. «თუ არ ვნახე ჩემ წინ მუხლ-მოყრით, ვერ შევხედავ, თუ არ გაჯავრებით»... ჰსთქვა ფატმანმა გუნებაში და ცბიერად გაუღიმა, მხოლოდ ხმას მაინც არა სცემდა, კითხვაზე გადაჭრილ პასუხს არ აძლევდა. ფრიდონი კი დღითი დღე ლბებოდა, ამაყი თავი ნელ-ნელა ეხრებოდა. ვერ გაეგო მიზეზი ფატმანის სიჩუმისა, წადილი მისის ფიქრის ჩუმისა... მაგრამ «იმედი»? ეს უკვდავი კაცის სულის ჩამდგმელი, სვეტი-ბოძი, საწყლის მხსნელი, დიდის მომცროს მხლებელი... სულ სხვა არის.

ფრიდონი იმედოვნებდა. დარწმუნებული იყო, რომ ამდენის ხნის ტრფიალება თავისას იზამდა, გაიმარჯვებდა. სწამდა უკვდავი მგოსნის სიტყვები: «ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.»

### II

ფრიდონი ი მენდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, უნდოდა მოეთმინა, რადგან უარის გაგონებას ერიდებოდა ასეთი სიყვარული, რაც უნდა გმირი, ამაყი თავმოყვარე იყოს კაცი, მაინც ვერ უძლებს უარის თქმას. ფრიდონიც ვერ ასცდა ამ საზოგადო კანონს. ამაყი თავი თითქმის დაიმცირა კიდეც ფატმანის წინაშე, შიშობდა გადაწყვეტით დაკითხვას. «მიყვარხარ, გიყვარდე!» ეს იყო მისი მუდმივი სიტყვები. სხვა რიგად ხმის ამოღებაც ვერ გაებედა, ვერ მოეხერხებინა. უკვირდა კიდეც, ასე როგორ დავძაბუნდი, დავლაჩრდი, ხმა ველარ დამიძრავსო. ერთი მისი შემოხედვა, გალიმება კანკალსა მგვრისო.

ფატმან ყველაფერში სრული, უნაკლულო, უმანკო, ზეციური ეგონა. ეს იყო სიყვარული ფრიდონის წრფელის გულისა და ასეც უნდა იყოს ყველა, ვისაც უანგარიშოდ და უმანკოდ უყვარსო.

### III

ფრიდონი, როგორც ვიცით, ამ მოთხრობის დასაწყისიდან, ობოლი, უსახლკარო ყმაწვილი იყო. მამა მისი ერთ დროს გამოჩენილი მეომარი და მდიდარი კაცი ყოფილა, მომკვდარა ომში ჭრილობისაგან. ფრიდონი კი მისი ერთად ერთი ვაჟი, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, დედასთან ერთად მთიულეთში ყოფილა გახიზნული. ეს იყო იმ საშინელ დროს, როცა წყეულმა აღა-მამად-ხანმა მთელი საქართველო, მეტადრე ტფილისი დააქცია. ფრიდონი ტფილისში საცხოვრებლად აღარ დაბრუნებულა, რადგან მისი სახლკარი, როგორც გამოჩენილ მეომარის გვარისა, შაჰის ბრძანებით, ნაცარ-ტუტად ექციათ მისს ულვთო და ურჯულო მხედრებს. ამ ნაირად ფრიდონი მხოლოდ დავაჟკაცების შემდეგ ხშირი სტუმარი იყო ტფილისისა, და ისიც მხოლოდ ფატმანის მიზეზით, თითქმის გადავიწყებულიც ჰქონდა, რომ ტფილისში იყო დაბადებული, რაც მისი სიტყვებიდანვე სჩანს: მე ვარ შვილი «იმ-მთებისაო».—დიაღ, ფრიდონი იყო შვილი იმ საუცხოვო ბუნებისა, მთიულეთისა, თუმცა იქ არ იყო დაბადებული, მაგრამ ნათქვამია: «ჩიტი სადაც გაიზდება, მისი ბუდდადი იქ არისო». მართლაც, იმ დროს, როცა ეს ამბავი მოჰხდა, მთიულეთი სრულიად თავისუფალი იყო. იქ, იმ დროს მართლაც რომ არ ვინ იცოდა, რა არის მონობა; იქ იცოდნენ მხოლოდ ვაჟკაცობა, «ძმობა—ერთობა და სიყვარული». საზოგადოდ თუშ-ფშავ-ხევსურნი თავიანთ თავს არასოდეს არ სცნობენ ვისმე მონად. თავდაპირველად უყვარდათ თავიანთი მშვენიერი ქვეყანა-სამშობლო და შემდეგ-კი საქართველოს მეფე.

ფრიდონი იყო შავგვრემანი, ტანადი, ბეჭებში განიერი, მისი დიდრონი პირდაპირი შავი თვალები, გონიერი შუბლი, ოდნავ შეღუშულ წარბთა შუა ზომიერი ცხვირი, ახლად ამოსული, ვაჟკაცთ შესაფერი წვერ-ულვაში, მომაღლო ყელი, დიდრონი მკლავები, დიდს ვაჟკაცურს შესახედაობას აძლევდა მის მშვენიერ ტანადობას. ფრიდონი მიუხედავად იმისა, რომ მთიულეთში იყო აღზრდილი, ძრიელ ზრდილობიანი, თავაზიანი და მოსიყვარულე კაცი იყო. სწორედ სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, მაგრამ არა-ჩვეულებრივის სიყვარულისთვის, რადგან სიყვარულიც თავისებური სწამდა:—პირდაპირი, შეუპოვარი და უანგარო. მაგრამ ფატმანმა სრულიად სხვა დაღი დააჩნია მისს ზნე-ხასიათს. მისი ნორჩი გული ფატმანის ეშხმა, მიხვრა-მოხვრამ და სიკოპწიავე-სინაზემ სრულიად დაიმონავა, ჩაიგდო ხელში. ყველა ამას ფატმანის მგრძნობიარე ქალური ინსტიკტი ნათლად ამჩნევდა. ის ჰხედავდა, რომ შორს აღარ იყო ის დღე, როცა ფრიდონი თავის ამაყს კისერს მოიხრიდა მის წინაშე. მხოლოდ როგორც უნდა ყოფილიყო ფრიდონის სიყვარული, ის მაინც თავისებურად, თავისუფლებითა და სამაგიეროთ სიყვარულით ჰფარგლავდა. «სიყვარული და მონობა?»... ეკითხებოდა თავის მეგობრებს,—მე მიყვარს, მაგალითად ჩემი სამშობლო ქვეყანა, საქართველო, მიყვარს ჩვენი მეფე, მაგრამ მონა კი არა ვარ მისი და არცა ვინა მთხოვს ამას, არამედ მარტო სიყვარული და მეგობრობა აკმაყოფილებს და,

ჯარმა ბრძანება მიიღო აშალოს თვისი ბანაკები, აშალოს და ლიაოიანისკენ წავიდეს.

—

მუკდენიდგან დეპეშით იუწყებიან, ამბობენ ჩრდილო-აღმოსავლეთიდგან 10.000 იაპონელი მოდის მუკდენზეო. (რ. ს.).

—

პრავიტ. ვესტ-ს დეპეშიუ ატყობინებენ 19 აგვისტოს ლიაოიანიდან, ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ბნელს ღამეში იაპონელები მიეპარნენ მე-24 პოლკს როდესაც ჯარის-კაცები თხრილებში იყვნენ ჩამალული და ვახშმობდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ და რუსებმა უკუ-აქციეს. ერთმა იაპონელმა მზვერავმა მოწინავე რაზმის შუა გაიარა და რუსის აფიცერს სალამი მისცა. შეიპყრეს და ჩვენება ჩამოართვეს. იმან სთქვა, თქვენის შუბლის წინააღმდეგ კუროკი მოქმედობსო, გუშინდელ ბრძოლაში იაპონიის გვარდია და საერთოდ იაპონიის ჯარი საშინლად დაზიანდაო.

ტოკიოდგან დეპეშით იწერებიან, პორტ-არტურისკენ მილებით გაყვანილ წყაროს სათავეს მიაგნეს სიუშიინთან და შესწყვიტესო. ეს გარემოება გენერალ სტესსელს საშინელ მდგომარეობაში ჩააგდებს. თუმცა ოქროს კლდესთან უმარილო ტბა არის და თვით ციხეს პატარა მდინარეც ჩაუდის, მაგრამ ეს წყალი დასალევად არვარგა. მდინარე ლუნხე მინდორ-მინდორ მიდის და ათასნაირი უსუფთაობა მიაქვს. ტბაც წვიმის წყალისაგან და პაწაწა ბინძურ ნაკადულებისაგან არის შემდგარი. ამისთანა წყალი ავადმყოფობას გააჩენს. რასაკვირველია, ციხესა და გემებზე ზღვის წყალის საწმენდები არის, მაგრამ ეხლა მტრის ზარბაზნები იმათაც დააზიანებს, ასე რომ მეციხოვნეებს სუფთა სასმელი წყალი აღარ ექმნებათ (რ. ვ.).

### ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲔᲑᲘ.

„პეტერ. გაზეთის“ სამხედრო კორესპონდენდენტს უკითხავს ერთ ექიმისთვის, ომის ველზე გონება ხომ არ ერყევათ ჯარის კაცებსაო?

— როგორ არა,—უპასუხნია ექიმეს,—ყოველ დღე 2—3 კაცი იშლება ჭკუაზედ.

— მერე რას უშვრებით?

— მატარებლითა ვგზავნით ათ დღეში ერთხელ მოსკოვისკენ. დაბალი ჯარის კაცების მესამე კლასის ვაგონებში ვაბინავებთ, სადაც საწოლიც არის, საცვალიც და საჭმელ-სასმელიც; აფიცრებს კი მეორე კლასის კუპეს ვუთმობთ. ავადმყოფებს თან ექიმიც მოსდევს და ფერშალ-სანიტარიც. თითო ავადმყოფს, თუ მშვიდობიანია, ორი მოსამსახურე ჰყავს მიჩენილი და, თუ შმაგია—ოთხი... ზოგი ჭკუაზედ იშლება ბრძოლის გარეშეც, სხვა და სხვა უსიამოვნო გარემოების წყალობით.

— მაშ თვით ბრძოლაშიაც ირყევიან?

— დიაღ. აი, მაგალითად, პოლკოვნიკი ნ. ამის მიზეზი მხოლოდ მტრის ტყვია-ყუმბარა კი არ არის, არამედ მრავალი მოულოდნელი გარემოებაა. ვსთქვათ, ქვა დაგორდა და მოხვდა ვისმე თავსა და ზურგში; ანუ აღმართზე მიმავალი დაგორდა და კლდეს დაეჯახა და სხვა.

— იმათი ბოდვა გაგიგონიათ?

— დიაღ და დიდის ყურადღებითაც...

— ვინ იცის, სულ ომზე ლაპარაკობენ, ბრძოლა აგონდებათ და იაპონელი ელანდებათ.

— სულაც არა, მაგგვარი მხოლოდ ორი შემთხვევა ვიცი. შტაბს კაპიტანი პ. ორს იაპონელს დასდევდა, დიდსა და პატარას, რომლებიც ვითომც არა შორდებოდნენ, და ორთავეს გაშმაგებითა სცემდა. ერთს თავის ნებით ჯარში შესულსაც ეჩვენებოდა, ვითომც იაპონელები მის წინ დაცოცავდნენ, და ისიც სრესდა ქია-ღუასავით. ძომეტებული ნაწილი ავადმყოფებისა სულ თავის დანაშაულობაზე ჰბოდავს. შიში მტრისა თუ სიკვდილისა ერთხელაც არ შემინიშნავს.

—

# ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

—

გუშინ-წინ, 23 აგვისტოს, ქართულ თეატრის დარბაზში კრება იყო ახალ ამხანაგობისა, რომელსაც აზრადა აქვს ქართული წარმოდგენები გამართოს მომავალ სეზონში. კრებამ დაავალა იმავე კომისიას, რომელიც ფულს აგროვებს, შეიმუშაოს ამხანაგობის მოქმედების წესი და სავარაუდო შესავალ-გასავლის აღრიცხვა და შემდეგ კრებას წარუდგინოს, რომელიც ხვალ, ხუთშაბათს, 26 აგვისტოს, დაინიშნა იმავე დარბაზში, საღამოს 8 საათზე.

*** გორის სასულიერო სასწავლებლის ქართულის ენის მასწავლებლად აძევებენ ძინსკის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწეს ღვთისმეტყველების კანდიდატს ბ-ნ ონიფანტე გამზარდიას.

*** როგორც გვითხრეს, სელ-მეორედ გამოცდა შეგირდებისა და სწავლაც სათავად-აზნაურო სკოლაში ცოტაოდნად დაიგვიანებს. მიზეზი ის არის, რომ ახლად მოწვეულნი მასწავლებელნი იწერებიან, მალე ვერ ჩამოვალთ ტფილისშიო.

*** სათავად-აზნაურო სკოლას წელს რამდენმამე მასწავლებელმა დაანება თავი: გალაჯაშვილმა ვაჩნაძემ, იაშვილმა და თვით ინსპექტორმა ექვ. თაყაიშვილმა, რომლის თანამდებობის აღმასრულებლად მიწვეულ იქმნა სკოლისავე მასწავლებელი ი. რატიშვილი და, მაშასადამე, მასწავლებლობისათვის ვეღარ მოიცლის, ისე რომ საგნობის რიცხვი გაკვეთილთა თავისუფალი ამ ჟამად, რადგან მეოთხე კლასის მეორე პარალელი კლასიც არსდება წელს.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტფილისს ჩვენი დამსახურებული პროფესორი და მეცნიერი ბ-ნი ალ. ცაგარელი. პროფესორი გუშინ-წინ, 23 აგვისტოს მცხეთას იყო სვეტი-ცხოვლისა და მის შეკეთების საქმის დასათვალიერებლად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველს კლასში შესასვლელად მისულა სულ ასი მოწაფე.

*** როგორც პეტერბურგიდამ გვწერენ, უწმინდესს სინოდს უკვე გადუწყვეტია ქუთაისის აწ უკვე გაუქმებულის სემინარიის მოწაფეთა ბედი. ეს მოწაფენი გაუნაწილებიათ რუსეთის ექვსს სასულიერო სემინარიაში მისაღებად. ამის შესახებ ცნობას მალე მიიღებენ ხსენებულნი მოწაფენი. ზოგიერთნი მათგანნი კი მიუღიათ ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

*** როგორც ამბობენ, სემინარიის მინაგვარს სადვთისმეტყველო კურსებს დააარსებენ, ქუთაისში კი არა, როგორც გვქონდა ნათქვამი ამას წინად ჩვენს გაზეთში, არამედ სოხუმში.

*** ქუთაისის აწ უკვე გაუქმებულის სასულიერო სემინარიის მეექვსე კლასის თერთმეტს მოწაფეს ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ მისცა გამოცდის ნება სემინაარიის კურსის გათავების მოწმობის მისაღებად. ექვსის მოწაფისთვის ხსენებულის სემინარიის გამგეობას გამოცდაზე დასვლისათვის უარი უთქვამს.

*** დღეს ქალაქის გამგეობას კრება ექმნება იმის გადასაწყვეტად, რომ თუმანიანცის მიწაში გაუცვალონ ქალაქის მიწა 400 ოთხკუთხი საჟენი; ეს მიწა საჭირია ქალაქს საავადმყოფოს ასაშენებლად ნაყიდ მიწის მისამატებლად, რადგანაც ნაყიდი არა ჰყოფნის და თუმანიანცის მიწა ზედ აკრავს ქალაქისაგან ნაყიდს მიწას.

*** ა. ბ. ევანგულოვის მეთაურობით ექსკურსიად წასულნი უკვე დაბრუნდნენ ტფილისს 23 აგვისტოს. ექსკურსანტებს დაუთვალიერებიათ ყაზბეგის მთა, მდ. თერგისა, არდონისა და რიონის სათავეები.

—

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

—

**ᲡᲝᲤ. ᲘᲢᲠᲘᲐᲨᲘ.** ამ წლის 15-ს, მარიამობა დღეს მოჰხდა ერთი შემაძრწუნებელი შემთხვევა. იმ დროს როდესაც სტუმრები ცეკვა-ლხინით იყვნენ გართულნი, წლისა და სამის თვის ვაჟი ფეხ-ადგმული, უწმინდურების ორმოში ჩავარდა და დაიხრჩო. საცოდავი ბავშვი თურმე თავით იყო ჩავარდნილი. ბევრის ძებნის შემდეგ, დამხჩვალი ძლივს იპოვეს. ცეკვა და მხიარულება ტირილით შეიცვალა ოჯახში.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, გამოაცხადოს ფილოქსერით დაავადებულად სოხუმის ოლქის სოფელ ბესლახუბას ზოგიერთი მამულები და მუხრანში საუფლისწულო უწყების ვენახები. სთხოვოს საუფლისწულო უწყებას, მიიღოს ყოველივე საშუალება, რომ დუშეთის მაზრიდან ფილოქსერა ხვა მამულებში არ იქმნას გადატანილი; შესდგეს სამი დასი ვენახების გამოსაკვლევად; აგრონომის დემენტიევის ხელმძღვანელობით—გორისა, დუშეთისა და ტფილისის მაზრების მამულების გამოსაკვლევად, ექსპერტის სპეშნევის ხელმძღვანელობით—კახეთის ვენახებისა, ხოლო ინსტრუქტორის სააკოვის ხელმძღვანელობით—სოხუმის ოლქის ვენახებისა. ყველა ეს საფილოქსერო დასი დაიქირავებს მუშებს და ახლო მომავალში შეუდგებიან თავ-თავიანთ რაიონებში ვენახების გამოკვლევას.

◆ 9 აგვისტოს აბასთუმანში აკურთხეს სამლოცველო იმ ადგილას, სადაც გარდაიცვალა მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

◆ **ᲒᲝᲠᲘ.** გორის რკინის ხიდის ერთი ბოძი გაზნექილა ასე 2—$2^1/_2$ ვერშოკამდე, ამას გარდა პირველ ბურჯს ამ ერთის კვირის წინ დაეჯახა ტივი და ორი ხის ბოძი დაამტვრია. როგორც შევიტყეთ, ეს გარემოება უკვე მოუხსენებია გორის მაზრის უფროსს ტფილისის გუბერნატორისათვის.

◆ **ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ.** ქალაქის ბოქაულმა მაზრის უფროსის ბრძანებით მოსთხოვა სიღნაღის ქალაქის მოურავს, ყოველ დღე დაგავეთ და დაწმინდეთ მეიდნები და ის ადგილები, რომელიც სავალდებულო დადგენილებათა ძალით, უნდა იწმინდებოდეს ქალაქის განკარგულებითა, მაგრამ ქალაქის მოურავმა ეს მოთხოვნილება არ შეასრულა, ამიტომ ის ადგილები ერთობ უწმინდურად არის, ერთობ გატალახიანებულია; ნაგავი, ჩეჩქი და პატივი არ გააქვთ; იმ მეიდანს, სადაც საღამოობით ქალაქის მცხოვრებნი გამოდიან სასეირნოდ, არ ჰგვიან და არც რწყავენ, თუმცა ამისათვის სახარჯო ფული გადაბული აქვს ქალაქსა. მაზრის უფროსს რომ ვერა გაუვიდარა მოურავთან, როგორც გადმოგვცეს, ტფილისის გუბერნატორისათვის უთხოვნია, იძულებულ ჰყოს სიღნაღის ქალაქის მოურავი, რომ ქალაქი სუფთა შეინახოს.

—

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 აგვისტო.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზე 23 აგვისტოს თარიღით: «ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს უკან ლიაოიანიდან მდინარე თაიძიხეს მარჯვენა ნაპირისაკენ 22 აგვისტოს ღამით და დასრულდა წესიერებით. თუმცა მტერი ცოტაოდნავ ეცადა და დაედევნა, მაგრამ ჩვენმა არიერგარდმა შეაყენა. 22 აგვისტოს იაპონელებმა გააძლიერეს თავის ჯარი ჩვენი მარცხენა ფრთის წინააღმდეგ იანტაის მადნებიდან ჩრდილოეთად, აგრეთვე ბენსიხისაკენ.

**ᲛᲣᲙᲓᲔᲜᲘ.** შევიტყეთ, იაპონელნი თაიციხეს მარჯვენა ნაპირას გადმოსულან, ბენსიხის დასავლეთად. 22 აგვისტოს, დილით, იაპონელნი გადავიდნენ მარჯვენა ნაპირას ლიაოიანის და მისი მიდამოების მხრივ.

24 აგვისტო.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** დეპეშა მისს იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზე გენერალ ადიუტანტის ალექსეევისა 22 აგვისტოდან: «უქვეშევრომილესად წარმოგიდგენთ მოხსენებას ლეიტენანტ ივანოვ 13-სას, რომელსაც ერგო უფროსობა კრეისერ «რიურიკისა» ბრძოლაში 1 აგვისტოს, კონტრ-ადმირალ იესსენის რაზმში: 1 აგვისტოს, დილის $4^1/_2$ საათზე, შეხვდენ მტრის ოთხს კრეისერსა და შეებრძოლენ. დილის რვა საათი იქნებოდა, რომ მტერმა დააზიანა საჭე. რადგანაც წყალქვეშაც შეამტვრიეს გემი, საჭეები დაამტვრიეს, ამიტომ მხოლოდ მაშინის შემწეობით მოქმედება გაძნელდა, კრეისერი ველარ წავიდა ჩქარის სიარულითა, ადმირალის ბრძანებით, და ველარ მიჰყვა «როსსიასა» და «გრომობოისა», რომელნიც ოთხ კრეისერს ებრძოდნენ. დავრჩი უკან და შევებრძოლე ორს კრეისერს „თაქაჩიხოს“ და «ნანივას», რომელთაც ისარგებლეს გემის გაჭირვებულ მდგომარეობითა, დაუწყეს უწყალოდ სროლა და ძალიან დააზიანეს. ჩვენ ნელ-ნელა შევსწყვიტეთ სროლა, რადგან მომეტებული ნაწილი ზარბაზნებისა გაფუჭდა, ხოლო 12 საათზე ჩვენ სრულიად შევწყვიტეთ სროლა, რადგანაც ზარბაზნები ვეღარ ამუშავეს და ბევრი აფიცრობა და ჯარის-კაცი დაგვაკლდა. ამ დროს ერთი ნაღმი გავისროლეთ, მაგრამ მიზანს ვერ მიახწია. კამანდირი კაპიტანი 1 რანგისა ტრუსოვი და უფროსი აფიცერი 2 რიგის კაპიტანი ხლოდოვსკი ომის დაწყებისათანავე მძიმედ დაიჭრნენ. კომანდერი მოჰკლეს, უფროსი აფიცერი ჭრილობისაგან მოკვდა, იმას ორთავ ფეხები მოემტვრა და გვერდშიც დაიჭრა. 22 აფიცერთაგან მოკვდნენ ჭრილობისაგან ლეიტენანტები ზანილოვი, კრეისერის დროებითი უფროსი, რომლის ალაგი მე დავიჭირე, და ბარონი შტაკელბერგი, მიჩმანები: ხანკოვი, პლაზოვსკი და პლატონოვი, ექიმი ბრაუნშვეიგი; დაირჩო კრეისერის უფროსი მექანიკოსი ივანოვ მე-6; დაიჭრნენ ლეიტენანტები ივანოვი 13-ე, ბერგი და პოსტელნიკოვი, მიჩმანები ტერენტიევი და შირიაევი, კაპიტანი სალოვი, მექანიკოსი ტონნი, ექიმი სოლუხა და პრაპორშჩიკი იარმეშტედტი, უვნებლად დარჩნენ მიჩმანი შილინგი, პრაპორშჩიკი როშიძე, მექანიკოსები გეინო და მარკოვიჩი, შკიპერი ინისიმოვი, კომისარი კრაუზმანი და მღვდელ მონაზონი ალექსი. 800 მეზღვაურთაგან, როგორც ცნობა მაქვს, 200 კაცამდე მძიმედ და 278 დე მსუბუქად დაიჭრა. რადგანაც გემი ძრიელ დაზიანდა, წასვლა აღარ შეიძლებოდა. დაცვა ვეღარ მოვახერხეთ, რადგანაც მტრის კრეისერები და ნაღმოსნები შემოგვერტყა, ამიტომ გადავსწყვიტე კრეისერის აფეთქება, ვუბძანე მიჩმანს ბარონ შილინგს, ნაღმი ეხმარნა, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაგვიარა, მერე ვუბძანე ჩაეძირათ. მინამ ჩაიძირებოდა, დაჭრილნი და მეზღვაურნი გადავარჩინეთ. როცა ჩვენ შევწყვიტეთ სროლა, მტერმაც აღარ გვესროლა. 12 საათზე კრეისერი ჩაიძირა. მეზღვაურნი მტრის გემებზე აიყვანეს და დიდის მზრუნველობით მიიყვანეს სასებოსა. ძალიან ყურადღებით ექცეოდნენ და უვლიდნენ დაჭრილებსა, დანარჩენებსაც ფრიად კარგად ექცეოდნენ. აფიცრები და ჯარის-კაცნი ბრძოლის დროს ვაჟკაცურად მოიქცნენ და ბოლომდე პირნათლად მოიქცნენ“. ეს მოხსენება მოიტანა მღვდელ-მონოზონმა ალექსიმ, რომელიც გამოუშვათ იაპონელებს ნაგასაკიდან შანჰაის. როგორც არა ტყვე

**ᲩᲘᲤᲣ.** 22 აგვისტო. (რეიტერი) მეორე უმთავრესი იერიში პორტ-არტურზე დაიწყო 14 აგვისტოს, გამოიწვია ძლიერი ბრძოლა, რომელმაც გასტანა 18 აგვისტომდე, მაშინ იაპონელებმა ყოველგნით დაიწიეს, გარდა პალიჯუანისა, სადაც ისინი დამკვიდრდნენ. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტისაგან გაგზავნილმა შიკრიკმა მოიტანა ამბავი, იტშაინს ხელ-ახლა დაეცნენ იაპონელნი 17 აგვისტოსაო, მაგრამ ვერ აიღესო. მეორე ჩინელი ამბობს, 20 აგვისტოს, დილის 3 საათზე, მძლავრი იერიშით მივიდნენ რუსის მარცხენა ფრთაზე, დილის ექვსს საათამდე გასტანა, მაშინ იაპონელებმა დაიწიეს. ხოლო მერე ზარბაზნის სროლა განაახლეს, როგორც რუსები ანგარიშობენ, იაპონელებს იმ ოთხს დღეში დააკლდათ 8 ათასი კაციო. რუსებს დააკლდათ, როგორც ამბობენ, 3 ათასი კაცი. იერიშის დროს ყუმბარები და თოფის ტყვია ქალაქში ვარდებოდა. რუსის გემებიც იღებდენ მონაწილეობას ბრძოლაში. როგორც სარწმუნოდ ამბობენ არტურის მეციხოვნეთა რაზმში იყო ერთი კვირის უკან დაახლოვებით 15 ათასი კაცი. წარსულს კვირას მოვიდა ამბავი, რომ იაპონელებს უნდათ შევიდნენ ქალაქში რკინის გზის მხრიდან. იტშანმა ერლუშანმა, პალიჯუანმა, ანცუშანმა და სხვა პოზიციებმა გაუძლეს ყველა იერიშებსა და ყუმბარებსა. ფორტები ისეა მოწყობილი და ისე ეხმარებიან ერთმანერთს, რომ იაპონელებს საქმე გაუძნელეს. აგერ რამდენიმე ხანია ლიაოტეშანის კონცხზე იაპონელნი არ გამოჩენილან, ისინი მეციხოვნეებს არ ასვენებენ; გათავდება თუ არა იერიში. ზედ მიაყოლებენ ყუმბარებსა, მეციხოვნენი ძრიელ მოიქანცნენ, მაგრამ მაინც აღსავსენი არიან გაბედულობით წინააღმდეგობის განსაგრძობად.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** 23 აგვისტო. პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან, იაპონელთა ცდამ შემოეარნათ დასავლეთიდან, ვერ გაიმარჯვა, რუსის ჰაეროსტატმა აღმოაჩინა მტრის პოზიცია, რომელიც ხიშტების ბრძოლით აიღეს, იაპონელნი, ვინც კი ცოცხალი დარჩა, ისე მოქანცულნი იყვნენ, რომ გასროლის თავი აღარ ჰქონდათ. იმათ 6 დღე ნოტიო თხრილებში გაატარეს, შემდეგ ორი დღე უჭმელ-უსმელი ეარნათ.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** 23 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა ნახეს კრონშტადტში რეიდზე ჯავსნოსანი «არიოლი», 1 რანგის კრეისერი „ოლეგი“ და საიმპერატორო იახტი «პოლიარნაია ზვეზდა».

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** 23 ავგვისტოს აკურთხეს ახალი სამაგალითო სახლი მეხუთე საქალებო გიმნაზიისა, იმპერატრიცა მარიამის უწყებისა, 500 მოსწავლისათვის.

**ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘ.** 23 აგვისტოს პარკში შემდეგი უბედურობა დატრიალდა: დაიჭრა იქ ქალი, რომელიც სროლას სწავლობდა, ტყვია გულში მოხვდა, საშიშარს მდგომარეობაშია.—კრება ისევ არის. წამსვლელი ცოტაა, რადგანაც კარგი დარებია.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ,** 22 აგვისტო (ბიურო) პორტამ სთხოვა ოთხს სახელმწიფოს,

---

სიყვარულში ხომ ყველაფერი ჰგიებს... მე მიყვარს იმიტომ, რომ მე ვუყვარვარ.. თუ საჭირო იქნება, მოვკვდები კიდეც მისთვის, რადგან ვუყვარვარ... მონობა რომ შემიკვეთოს, იმასაც დავგმობდი.

ფატმანი იყო ქალიშვილი ერისთავთ-ერისთავისა, ერთის მიდამო კუთხის მოურავ-ბატონისა; იყო დაბადებული და გაზრდილი ტფილისში. მისი მეტი სახელი იყო «პატარა ქალ-ბატონი». როგორც დედის ერთა, მასთან მშვენიერი არსება, იყო მბრძანებელი მთელის სასახლისა. ყველაფერი მის სურვილისამებრ კეთდებოდა. გარს ეხვივნენ თაყვანის მცემლები და ალმერთებდნენ. ფატმანმა კარგად იცოდა ბატონობა და კარგადაც ესმოდა მისი მნიშვნელობა. «მე უნდა ვუყვარდე, მივაჩნდე ყველას, ჩემს ნებას უნდა ასრულებდნენ და მე კი, როგორც მდიდარი და გავლენიანი მათი მწყალობელი და პატრონი უნდა ვიყოო. აი როგორ ფიქრობდა ფატმანი. ყველაზე უწინ უყვარდა თავის თავი და შემდეგ კი.. ძნელი სათქმელია, ვინ, ან როგორ უყვარს ქალწულ ქალს... ნათქვამია «მხოლოდ ღმერთმა უწყის ქალის გულიო».

ბევრნაირად ასურათხატებენ ხოლმე მწერლები თავიანთ მოთხრობის გმირებს, მხოლოდ ფატმანისთვის ყველა ის, რაც დღემდის თქმულა, შეუფერებელია. მისი მშვენიერება ყველა უკვე აღწერილ მშვენიერებაზე უმშვენიერესი იყო, მისი თავისუფალ - მბრძანებელი მშვენიერი სახე და ამაყი შესახედაობა, ცხადად ამტკიცებდა მისს ბრძანებლობის ხასიათს; იყო გულადი, უშიშარი, შეუპოვარი, მაგრამ მოწყალე და შემბრალე. ხან მტრედივით წყნარი, მოღუღუნე, ხან კი ზარ-დამცემი, რისხვა-ქუხილით მოსილი. არასოდეს, ზოგიერთ ქალიშვილივით, რომლებიც, უხდებათ თუ არა, მაინც მოდებს მისდევენ, არ ირჯებოდა; როგორც მოსწონდა და უხდებოდა, ისე იცვამდა. მისის თავის მორთულობას შეადგენდა უბრალო თავსაფარი და სადათ შეკერილი ყაბალახი. შუბლზე თმის ჩამოფარება და ამით თავის უბრყვილოდ ჩვენება არ სურდა, შუბლი მუდამ მოღერებული ჰქონდა, თმა გადავარცხნილი, დაუწვნელად წელამდის ეყარა. ქუდს არ იკარებდა, ფერ-უმარილი და სხვა, სახის ვითომ და გასამშვენიერებელი, არ მოსწონდა. ფატმანს უყვარდა მხოლოდ იასამანის ყვავილის სულნელოვანება, მაგრამ რა გაიზარდა და გადიფურჩნა, იმასაც თავი დაანება. საყნოსველი ყვავილი, იასამანის სურნელოვანება მე თვითონ უნდა ვიყოო», ამბობდა გუნებაში და, თუ ამას სხვას დავუთმობ, მაშინ ხომ ჩემს სილამაზეშიც სხვას ექნება წილიო. ფატმანი იყო ისეთი მშვენიერი, კოპწია და შნოიანი, როგორიც მოეწონება ხოლმე ფრიდონისებურ ქართველ ვაჟკაცს. ფატმანმა არ იცოდა, რას ჰქვია შეურაცხყოფა; არ ვის აწყენიებდა და არც თვითონ იკადრებდა საწყენს, არ ვის სჩაგვრიდა და არც თვითონ დააჩაგვრიებდა ვისმე თავს. არ იყო უკადრისი, არ თაკილობდა არავითარს მუშაობას: ოჯახის მოვლა, ყანა-ბაღჩის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, ჭრა-კერვა, ქარგვა, მზარეულობა დიდად სასიამოვნოდ მიაჩნდა.

(დასასრული იქნება)

იასე რაჭველი.

თავმდებებს კრიტის საქმეში, რომ პრინც გიორგის საქმე უყურადღებოდ დასტოვონ.

**სამარა.** 23 აგვისტო. დღეს მოიყვანეს ტყვე იაპონელნი—50 აფიცერი და 200 ჯარის კაცი 8 საათზე მატარებელი პენზას წავიდა.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანებანი: საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრს მამონტოვს უმაღლესად ებრძანა მინისტრის მაგიერ დაესწროს ხოლმე სენატში, როცა თვით მინისტრს არ შეეძლება დასწრება; სანაინის სომეხთა მონასტრის წინამძღვარს ეპისკოპოზს სათუნიანც ებრძანა იყოს უფროსად ქართლ-კახეთ-იმერეთის სომეხთა-გრიგორიანთა ეპარქიისა.

**ტოკიო,** 23 აგვისტო. (რეიტერი). საშინელის ბრძოლის შემდეგ, კუროპატკინმა სანაპირო რაზმთა მოფარებით უკან დაიხია და თან წაიყვანა უმეტესი ნაწილი რუსთა ლაშქრისა. ხიდები სულ დააქცია და მით ხელი შეუშალა იაპონელებს, რომ უკან გამოჰკიდებოდნენ. ინტერესი უფრო იმისა აქვს, თუ როგორ მოქმედობს იაპონიის მარჯვენა ფრთა. 20 აგვისტოს ღამით და მეორე დღეს დილით კუროკი უცბად გაემართა დასავლეთად და უნდოდა გვერდიდან დასცემოდა იმ რუსის ჯარს, რომელიც ლიაოიანში დარჩა. ჰგონებენ, რომ კუროპატკინმა ბევრი ხალხი დაჰკარგა, რადგან ტყვედ შეიპყრეს იაპონელებმაო. შესაძლებელია, რომ ადგილ-მდებარეობა დიდად დააბრკოლებს კუროკის მოძრაობასა.

**ჩიფუ,** 23 აგვ. (რეიტერი). იაპონიის ლაშქარი, რომელსაც ალყა აქვს შემორტყმული პორტ-არტურისათვის, ავადმყოფობს დისენტერიით (ყვანა) და ციებცხელებითა. ნავთ-სადგურს ისე სუსტად სდარაჯობენ, რომ მეციხოვნეთ დიდძალი სურსათი მისდით. სიმშილის შიში სრულიად არა აქვთ. აქაური იაპონელები ყოველ-დღე ელიან, რომ რუსეთის გემი მალე გავლენ ზღვაშიო.

**ლისაბონი.** (ჰავასი). მოვიდა რუსეთის კრეისერი «ტერეკი».

**მუკდენი,** (ბერლინიდან). 22 აგვისტ. 18 აგვისტოს ყველა იერიში ოქუსი და ნოძუსი უკუ-ქცეულ იქმნა, სათადარიგოდ კიდევ ძლიერი ჯარი იყო უკან, მაგრამ ამასობაში კუროკის ხუთი დივიზია გავიდა ტაიძიხეში. ამიტომ კუროპატკინი 19 აგვისტოს იმის წინააღმდეგ გაემართა. ნაწილი ჯარისა-კი ლიაოიანში დასტოვა. ამ დროს ოქუმ ხელ-ახლად მიიტანა იერიში, დაუწყო ყუმბარების სროლა ლიაოიანს, რკინის გზის სადგურს და რუსთა სიმაგრეებს. რამდენჯერმე ზედი-ზედ მოვიდა მხნედ იერიშით. 21 აგვისტოს შუადღემდე მუკდენსა და ლიაოიანს შორის მისავალ-მოსავალი გზა თავისუფალი იყო. 20 აგვისტოს კუროპატკინი ებრძოდა კუროკის ლიაოიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად 12 კილომეტრის მანძილზედ. კუროკი მაშინ ფეხას არ იჩენდა ღამე უკან დაიწია, როგორც ხმა იყო, ტაიძიხესაკენ. რუსთა ზარალი ხუთის დღის ომში 10,000 კაცამდეაო. იაპონელებისა — 20,000-მდეო. ბრძოლის შედეგი დამოკიდებული იყო რუსეთის მთავარ-სარდლის გადაწყვეტილებაზედ. როგორც ხმა არის, ლიაოიანი რუსებმა ღამე დასტოვეს და ტაიძიხესაკენ დაიწიეს სრულის წესიერებით.

**ლონდონი.** (რეიტერი). „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს: „ცხადია, რომ გენერალმა კუროპატკინმა, მოწინააღმდეგეთა თვალშიაც კი, მოიხვეჭა დიდი სახელი ტაქტიკის ხელოვნებით. სამცარის მოხერხებით გამოიყვანა თავისი მხედრობა საშიშ მდგომარეობიდგან, რომელშიაც ჩავარდა ბრძოლის ბოლოს პარასკევს ღამეს. ეს სამცარი მოხერხება და აგრეთვე პორტ-არტურის დაცვა ორი ისეთი ღვაწლია, რომელიც რუსთა მახვილის სახელს დიდად ამაღლებს“.

**ჩიფუ,** 23 აგვისტოს. (რეიტერი). დიდ-ძალის ფქვილით დატვირთულმა გემმა გაარღვია სადარაჯო გემთა ჯაჭვი და მივიდა პორტ-არტურს, სადაც დიდის აღტაცებით მიიღეს.—რუსებმა ორი დიდი საზღვაო ზარბაზანი დადგეს მწყესების გორაზედ და ესვრიან ყუმბარებს იაპონელთა იმ პოზიციებს, რომელიც გენერალ ტატემას მბრძანებლობაშია. ტატემა პროფესორია სამხედრო ლიცეისა და მივიდა იქ მხედრობის გასაძლიერებლად. გენერალ ოშიმა, დაჭრილი უკანასკნელ იერიშის დროს, სასწრაფოთა რჩება.

**ლონდონი,** 24 აგვისტო. (რეიტერ.). «მორნინგ პოსტის» კორესპონდენტი, რომელიც ლიაოიანთან ახლოა კუროკის ლაშქარში იუწყება 21 აგვისტოდან, ადვილად შესაძლებელია, რუსეთის მხედრობა უფრო ძლიერია, ვიდრე ჰგონებენო. რუსნი თავ-განწირულს წინააღმდეგობას უწევენ იაპონელთა ზედ-მისევას და საშინლად მძლავრად ესვრიან ყუმბარებს კუროკის იმ რაზმებს, რომლებსაც უნდათ გარს შემოუარონ რუსებს და გზა გადუჭრან.—ლიაოიანის ბრძოლის შესახებ მსჯელობს «სტანდარტი» და ამბობს: «შეიძლება გადაწყვეტითა ვსთქვათ, რომ გენერალმა კუროპატკინმა ფრიად მძიმე საქმე შესანიშნავის ხელოვნებით შეასრულა —მოიგერა ოქუ და ნოძუ, კუროკის ილაჯი გაუწყვიტა და მოჰგლალა და ისე მოახერხა, რომ რუსეთის ლაშქარმა თავი მოიყარა იანტაისთან. ეს დიდი ღვაწლია და ჰმოწმობს მთავარ-სარდლის ნიჭსა და ჯარის კაცთა მტკიცე მამაცობას.

**იანტაი.** (რეიტერი). 21 აგვისტოს ღამე რუსებმა დასტოვეს ლიაოიანის სიმაგრენი, მივიდნენ შაიძიხეში და დასწვეს ხიდები იმ დროს, როცა რუსთა ძლიერი რაზმი იცავდა იანტაის კუროკის წინააღმდეგ. ლიაოიანის იერიში დაიწყო 17 აგვისტოს. ოქუ მიეტია სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ნოძუ სამხრეთ-აღმოსავლეთით. სეტყვასავით დაუშინეს ყუმბარები. იაპონიის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა. ერთხანად იაპონელები თხრილებს მიადგნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ უკან დიეწიათ დიდის ზარალით. დღისით გამარჯვების სასწორი რუსებისაკენ იყო გადახრილი; რუსნი არ აყენებდნენ იაპონელებს რკინის გზის გაყოლება გაშენებულ სოფლებში თვრამეტ აგვისტოს იაპონელებმა დაიწყეს ყოველ მხირდგნ სროლა ზარბაზნებისა. რუსთა ქვეითა ჯარი თვით მიეტია მტერს, მაგრამ საღამოზედ მოვიდა ამბავი, კუროკი რკინის გზას უპირობს დაქცევას იანტაისთანაო. მაშინ რუსებმა დაიხიეს უკან. იაპონელებმა დადგეს ორი ბატარეა და დაუწყეს ზარბაზნების სროლა უკან მიმავალ რუსის ჯარებს რკინის გზის აყოლებად. 19 აგვისტოს რუსებმა მიატოვეს უმთავრესი სიმაგრენი, რომელნიც ბეჭედივით გარს ერტყა ლიაოიანის ქალაქს. ამ დროს ფურგუნები უკვე წყალში გადიოდნენ. 2 საათზედ იაპონელებმა დასდგეს ორი ზარბაზანი და დაუშინეს რკინის გზის სადგურს. დიდი ზარალიც მიაყენეს რუსებს. ამავე დროს იაპონიის ქვეითა ჯარმა შეუტია იერიშით რუსთა მიდა პოზიციებს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა. საღამოზედ იაპონელებმა მოიტანეს დიდი ზარბაზნები და დაუშინეს რუსთა უბანს ლიაოიანში. რუსებს ეჭირათ პოზიციები 21 აგვისტომდე, ვიდრე დაღამდებოდა. მერე-კი დაიწიეს უკან და გავიდნენ წყალში. 21 აგვისტოს რუსთა ძლიერი ჯარი გაემართა იანტაიდან აღმოსავლეთად კუროკის ჯარის შესაჩერებლად. კუროკმა შეუტია რუსებს, მაგრამ უკუ-აქციეს და პოზიცია დააცლევინეს. მარჯვენა ფრთაზედ იაპონელებმა საშინელი სროლა ასტეხეს ყუმბარებისა. საღამოზედ ზარბაზნები მოეშველა რუსებს. ეს ზარბაზნები დაუშინეს კუროკის მარჯვენა ფრთას. კუროკიმ შემოიკრიბა ძალა და შეუტია რუსებს ამ სახით იარა და მოვიდა რუსთა პოზიციებამდე რკინის გზიდან 12 მილის მანძილზედ, იანტაის ახლო, მაგრამ იძულებულ იქმნა უკან დაეხია თავის პირველ პოზიციამდე. ბრძოლა 21 აგვისტოსაც არ შეწყვეტილა.

**შანჰაი,** 23 აგვისტო. (რეიტერი). «ასკოლდ» და «გროზოვოის» ხალხი ჩინეთში რჩებიან და განაწილებულ იქმნებიან ისეთს ნავსადგურებში, საცა რუსეთის საკონსულოებია, სახელდობრ ტიანძინსა, ჩიფუსა, ხანკოუსა, შანჰაისა და ფუჯოუში.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

20 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,25 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88¾ მყვ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 386½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 299 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255½ ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ზ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т—во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Одекалонъ „Кристаль“

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭომ 1,000 მანეთი გადასდო ღარიბ მცხოვრებთა დასარიგებლადაო, ნამდვილი არ არის; ყოველ დღე ამის შესახებ აურიცხელი თხოვნები მოდის ქალაქის გამგეობაში. ამიტომ, ყოველი ფორმალური და სიტყვიერი თხოვნა ამის თაობაზედ უყურადღებოდ იქმნება დატოვებული. (1—6—1).

# ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—8). ალ. გ. საათაშვილი.

**ვ**ისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საოცდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხევბა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, ძარხებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოება. (5—6—)

საუკეთესო საზაფხულო ადგილები
# ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
# ისყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივლისისათვის' 1904 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული) | 17979 | 21 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 19682 | 58 |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 1019 | 76 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 285210 | 29 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები | 10500 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. | 420 | 90 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ძ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. 20859—00; ბ) არა-უზროუნველ-ყოფილ ქაღ. 55726—00; გ) საქონელზედ 23259—50; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 8779—00 | 108623 | 50 |
| XI. გარდახდილი პროცენტები | 11144 | 11 |
| XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი | 223 | 21 |
| XIV. მოწყობა და მომართვა | 2088 | 64 |
| XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 87723—61; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 39934—28 | 127657 | 89 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ. | 293 | 16 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები | 409 | 58 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები | 9354 | 13 |
| ბალანსი | 613646 | 10 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 801 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 90011 | — |
| II. სათადარიგო თანხა: | 9386 | 38 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 126419—44; ბ) ვადით 151024—28; გ) უვადოთ 400—00 | 277843 | 72 |
| IV. გარდამავალი თანხა | 1068 | 65 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | 2647 | 70 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 325 | 53 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად | 806 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა | — | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 43809—27; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 67272—55 | 111081 | 82 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. | 10000 | — |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში 43050—00; სხვა ბანკებში 39870—00 | 82920 | — |
| XII. წაუღებელად დივიდენდი წარსულ წლ. | 3134 | 72 |
| XIII. მიღებული სარგებელი | 21884 | 36 |
| XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი | 2470 | 25 |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა | 40 | — |
| XVI. გაუყოფელი დარჩომილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| ბალანსი. | 613646 | 10 |
| პასუხის-მგებლობა 801 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდა | 810099 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება | 6500 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 10729 | 02 |

Дозволено цензурою Тифлисъ 24 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи